



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



კვლევის ანგარიში

ბავშვის უფლებების ეფექტური დაცვა

პუბლიკაცია მომზადებულია 'საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის' (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ორგანიზაცია 'ნაბიჯი ხარაგაული' და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).



შინაარსი

შესავალი.....	3
კვლევის მიზანი.....	4
კვლევის მიზანი.....	4
კვლევის ამოცანები	5
კვლევის მეთოდოლოგია.....	5
მუნიციპალიტეტებში ბავშვთა უფლებების დაცვის სტრუქტურული ერთეულების ანალიზი	7
მუნიციპალიტეტებში ბავშვთა საჭიროებების ანალიზი	11
საპილოტე მუნიციპალიტეტების პროგრამების ბიუჯეტების ანალიზი.....	14
ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებების კოორდინაცია სხვადასხვა უწყებებთან.....	21
ფოკუს-ჯგუფის შედეგები	20
მშობლების, პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელების მიერ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შეფასება.	25
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა სამიზნე მუნიციპალიტეტებში:.....	21
კონკრეტული პრობლემები, რომელიც ასახავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას:.....	23
მშობლების, პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელების მიერ მუნიციპალიტეტში მცხოვრები სსმ ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შეფასება.	32
მშობლების, პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელები მუნიციპალიტეტში არსებულ ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების შესახებ	35
მშობლების, პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელების დამოკიდებულება მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი ერთჯერადი დახმარებების მიმართ	37
საინფორმაციო წყაროები მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების შესახებ	37
დასკვნა.....	37
რეკომენდაციები:.....	36
დანართები	43
დანართი #1 მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების პროგრამების ანალიზი	43
დანართი #2 ფოკუს ჯგუფის დისკუსიის სახელმძღვანელო	49

შესავალი:

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 20 სექტემბერს მიიღო საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი), რომლის მიზანია უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა ბავშვის აღზრდის და ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა წარმოადგენს კოდექსის კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება ბავშვის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და მიმართულია ბავშვის უფლებების დაცვისა და რეალიზებისკენ.

კოდექსი არის საკანონმდებლო აქტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მუნიციპალიტეტის ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, საერთო სასამართლოები, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტები და ფიზიკური პირები ბავშვებთან და ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.

მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებები, განსაზღვრულია საქართველოს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 96-ე მუხლით:

მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით, მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საკუთარი უფლებამოსილების ნაწილში, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი პრევენციული ღონისძიებები და რეაგირება შემდეგ საკითხებზე:

- ბავშვის დაცვა საჯარო სივრცეში;
- ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულება;

- ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ლამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვა;
- ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვა.

დელეგირებული უფლებამოსილების ნაწილში დაევალა:

- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერი პროგრამების შემუშავება;
- რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების შექმნა;
- განათლების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება;
- ჯანმრთელობის დაცვის ხელშემწყობი პროგრამები;
- სათანადო საცხოვრისის პირობების დაცვის სტანდარტის შემუშავება;
- ბავშვისთვის უვნებელი და ჯანსაღი გარემოს დაცვა;
- მშენებლობის ნებართვის გაცემისას ბავშვის ცხოვრების სათანადო სტანდარტების გათვალისწინება;
- თამაშა და დასვენების რეკრეაციულ-კულტურულ ღონისძიებებში ბავშვის მონაწილეობა;
- ბავშვის სოციალური აქტივობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება;
- ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობი პროგრამები

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ განყოფილებების მუშაობის კვლევის ანგარიში, რომელიც ჩატარდა ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის შეფასების მიზნით იმერეთის რეგიონის ოთხ მუნიციპალიტეტში - ზესტაფონი, საჩხერე, ხარაგაული, ჭიათურა.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ხარაგაულის, ზესტაფონის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ განყოფილებების საქმიანობის მონიტორინგი. კვლევა მოიცავს განყოფილებების შექმნიდან 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის ინვრამდე პერიოდს, თუმცა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ანალიზი ჩატარდა როგორც 2021 წლის ისე 2022 წლის. კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გააძლიერებს „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ განყოფილებებს ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის შემუშავების კუთხით.

კვლევაში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის აღწერა ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, რამდენად ინსტიტუციონალიზებულია ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა. კვლევა ასევე ისახავს ამოცანას აღწეროს მშობლებისა და პედაგოგების გამოცდილება ბავშვთა უფლებების მიმართულებით, გაიგოს მათი ინფორმირებულობის დონე მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც ემსახურება ბავშვთა საჭიროებების იდენტიფიცირებას მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების და მხარდაჭერის მიზნით.

კვლევის ამოცანები

ძირითად საკვლევ საკითხებს (ამოცანებს) წარმოადგენდა:

1. ხარაგაულის, ზესტაფონის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ განყოფილებების საქმიანობის მონიტორინგი. კერძოდ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის აღწერა მათი შესაძლებლობების შესახებ, მხარი დაუჭირონ ბავშვთა უფლებების დაცვას;
2. მშობლების, პედაგოგების და ბაღის აღმზრდელების მიერ მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების შეფასება ბავშვთა საჭიროებების იდენტიფიკაციისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის მხარდაჭერის მიმართულებით;
3. მშობლების, პედაგოგების და ბაღის აღმზრდელების მიერ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შეფასება;
4. რამდენად ინფორმირებულები არიან მშობლები, პედაგოგები და ბაღის აღმზრდელები მუნიციპალიტეტში არსებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესახებ;
5. რა ინფორმაციას ფლობენ მშობლები, პედაგოგები და ბაღის აღმზრდელები მუნიციპალიტეტში არსებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების არსებობისა და საქმიანობის შესახებ;
6. როგორ აფასებენ ბავშვთა ინფორმირებულობას უფლებების შესახებ;
7. როგორია რეფერირების გავრცელებული მექანიზმები, გამოცდილება და შედეგები;
8. მუნიციპალური დახმარებები რამდენად აგვარებს ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებულ პრობლემებს?
9. საინფორმაციო წყაროების იდენტიფიკაცია ბავშვთა უფლებების და მათ მუნიციპალიტეტში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.


კვლევის მეთოდოლოგია

მონიტორინგის მეთოდად გამოყენებული იქნა კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდი.

მონაცემთა მოგროვების მეთოდად რაოდენობრივი კვლევისთვის გამოყენებული იქნა გამოკითხვა ელექტრონული ანკეტის საშუალებით მუნიციპალიტეტებისთვის.

მშობლებისა და პედაგოგებისთვის გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი ფოკუს-ჯგუფის დისკუსია.

კვლევის პროცესში გამოიკითხა 4 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, ხოლო ფოკუს ჯგუფის დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 8 ჯგუფმა აქედან 4 ჯგუფი დაკომპლექტდა პედაგოგების, ხოლო 4 მშობელთა მონაწილეობით.



ფოკუს-ჯგუფის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა წინასწარ შემუშავებული ფოკუს-ჯგუფის სახელმზღვანელო როგორც პედაგოგებისთვის, ასევე მშობლებისთვის იხ. დანართი #1.

პედაგოგების ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც სკოლის ასევე სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების და შშმ ბავშვთა დღის ცენტრების წარმომადგენლები - სულ 62 მონაწილე.

მშობლების ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო როგორ სოფლად, ასევე მუნიციპალურ ქალაქებში მცხოვრებმა მშობლებმა, რომელიც შერჩეული იყო შემდეგი ნიშნით: მშობლების სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი (დედა ან მამა), შშმ ბავშვის მშობელი (დედა ან მამა), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (დედა ან მამა), მარტოხელა მშობელი. ამათგან მონაწილეთა ნაწილი იყო მუნიციპალიტეტის ბავშვზე მორგებული პროგრამების ბენეფიციარი.

მუნიციპალიტეტებში ბავშვთა უფლებების დაცვის სტრუქტურული ერთეულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის (სტრუქტურული ერთეულის) საქმიანობა, 2020 წლის 1 ივნისის მიღებული „ბავშვთა კოდექსის“ მიხედვით, მოიცავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებს. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებში ყველა მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრა;

გ) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა;

დ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობა როგორც ქვეყანაში, ისე მისი ფარგლების გარეთ;

ვ) ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევა, რეგისტრაცია და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა;

ზ) დამტკიცებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად სტატისტიკის წარმოება; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

განყოფილების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების მიზნით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობენ, სულ მცირე: ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი. მათი საქმიანობა ეფუძნება ოთხი თვალის პრინციპს, რაც გულისხმობს

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას ან მიღებული გადაწყვეტილების სულ მცირე ორი თანამშრომლის მიერ დადასტურებას.

- ოთხივე მუნიციპალიტეტში არსებობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სტრუქტურა. სამ შემთხვევაში, ეს არის ცალკე განყოფილება, ხოლო საჩხერეში, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციის მქონე რგოლი მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დაქვემდებარებაშია, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 4 სამიზნე მუნიციპალიტეტის- ხარაგაულის, ზესტაფონის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა.

ცხრილი 1. არის თუ არა თქვენ მუნიციპალიტეტში შექმნილი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება?

მუნიციპალიტეტი	
ხარაგაული	დიახ ცალკე განყოფილების სახით
ჭიათურა	დიახ ცალკე განყოფილების სახით
საჩხერე	დიახ, ამ ფუნქციის მქონე რგოლი ერთ-ერთ განყოფილებაში
ზესტაფონი	დიახ ცალკე განყოფილების სახით

საჩხერეში, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციის მქონე რგოლი მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დაქვემდებარებაშია.

- ოთხივე მუნიციპალიტეტშია წარმოდგენილი ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი და ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი. საჩხერის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია, როგორც ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი, ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი, ასევე ინსპექტორი.

ცხრილი #2 ასახავს პერსონალის ჩამონათვალს, რომელიც არის წარმოდგენილი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ამა თუ იმ განყოფილება/რგოლში.

ცხრილი 2. ჩამოთვლილი პერსონალიდან, რომელი მათგანი არის წარმოდგენილი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება/რგოლში

მუნიციპალიტეტი	ბავშვის ოჯახის სოციალური მუშაკი	და ბავშვის ბავშვის მართვის სპეციალისტი	ფსიქოლოგი/ ჯანმრთელობის სპეციალისტი	ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი	ინსპექტორი
ხარაგაული	✓	✓ (ფსიქოლოგი)			
ჭიათურა	✓	✓	✓		
საჩხერე	✓	✓	✓	✓	✓
ზესტაფონი	✓	✓			

- ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობები დამტკიცებულია ყველა მუნიციპალიტეტში. ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტის - სამ მუნიციპალიტეტში, ხოლო ინსპექტორის - ორ მუნიციპალიტეტში, რაც დადებითად უნდა შეფასდეს
ცხრილი #3 ასახავს პასუხებს კითხვაზე, დამტკიცებულია თუ არა სამუშაო აღწერილობები ყველა სპეციალისტისთვის.

ცხრილი 3. რომელი სპეციალისტებისთვის არსებობს სამუშაო აღწერილობები სამიზნე მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტი	ბავშვის ოჯახის სოციალური მუშაკი	და ბავშვის ბავშვის მართვის სპეციალისტი	ფსიქოლოგი/ ჯანმრთელობის სპეციალისტი	ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი	ინსპექტორი
ხარაგაული	✓	✓ (ფსიქოლოგი)			
ჭიათურა	✓	✓	✓	✓	✓
საჩხერე	✓	✓	✓	✓	✓
ზესტაფონი	✓	✓	✓	✓	

- ოთხი მუნიციპალიტეტიდან სამში, ხარაგაული, საჩხერე და ზესტაფონში, დამტკიცებულია ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური

მეორადი სტრუქტურული ერთეულის დებულება, ხოლო საჩხერეში დებულება არ არის დამტკიცებული.


ცხრილი 4. დამტკიცებულია თუ არა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური მეორადი სტრუქტურული ერთეულის დებულება

მუნიციპალიტეტი	დებულება დამტკიცებულია
ხარაგაული	✓
ჭიათურა	✓
საჩხერე	---
ზესტაფონი	✓

მუნიციპალიტეტებში ბავშვთა საჭიროებების ანალიზი

არ ხდება მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახის საჭიროებების შეფასება და შედეგებზე ორიენტირებული გრძელვადიანი (არა ერთჯერადი) პროგრამების შემუშავება, რაც რეალურად სიღარიბიდან ამოსვლის საშუალება იქნებოდა. მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახის საჭიროებების შეფასება არ ხდება ან ძირითადად საკუთარი ძალებით ხორციელდება. არც ერთ მუნიციპალიტეტში არ ჰყავთ კონსულტანტი კომპანია, რომელიც ჩაატარებდა მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახის საჭიროებების შეფასებას. საჭიროებების შეფასების შედეგები დოკუმენტის სახით ხარაგაულსა და საჩხერეში არსებობს, ხოლო ჭიათურაში არა. თუმცა არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საჭიროების შეფასება არ მიმდინარეობს სრულყოფილად, რაზეც ირიბად მიუთითებს ის, რომ მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავება დასახელებულ საჭიროებებში არ გამოკვეთილა (იხ. ქვემოთ), რაც საეჭვოა, ამ მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობის, მოწყვლადი ოჯახების ტიპების, ტრადიციების, ამ ოჯახების პრობლემების და მრავალი სხვა მახასიათებლების განსხვავებულობების გამო.

დიაგრამა 1. შესწავლილია თუ არა მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახის საჭიროებები (მუნიციპალიტეტის რაოდენობა)



ცხრილში #5 წარმოდგენილია კონკრეტულად რომელი მუნიციპალიტეტები როგორ ახდენენ მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახის საჭიროებების შეფასებას. როგორც ცხრილიდან ირკვევა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახის საჭიროებების შეფასება კვლევის ეტაპზე არ ჰქონდათ.

ცხრილი 5. მუნიციპალიტეტები როგორ ახდენენ მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახის საჭიროებების შეფასებას.

მუნიციპალიტეტი	ხარაგაული	ჭიათურა	საჩხერე	ზესტაფონი
დიახ, ჩატარებულია კვლევა/შეფასება საკუთარი ძალებით	--	--	--	--
დიახ, ჩატარებული კვლევა/შეფასება კვლევითი კომპანიის ან კონსულტანტის მიერ	--	--	--	--

ამჟამად მიმდინარეობს საჭიროებების შეფასება რომელსაც საკუთარი ძალებით ვახორციელებთ	✓	✓	--	--
ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დაქირავებული კვლევითი კომპანიის/კონსულტანტის მიერ	--	--	--	--
სხვა -ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე გადის სოციალური მუშაკი და აკეთებს კონკრეტული ოჯახისა და მოწყვლადი ბავშვების საჭიროებების შესწავლას	--	--	✓	--

მოწყვლადი ოჯახებისა და ბავშვების ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროება, რომელიც გამოიკვეთა გამოკითხვისას არის¹

1. ოჯახების გაძლიერება ეკონომიკურად;
2. ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და/ან მიწოდება;
3. საცხოვრისით უზრუნველყოფა;
4. ბავშვების განვითარებისთვის სრულფასოვანი გარემოს შექმნა;
5. ზამთრის პერიოდში სითბოთი უზრუნველყოფა;
6. ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება ბავშვებისთვის.

მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავება დასახელებულ საჭიროებებში არ გამოკვეთილა.

მუნიციპალიტეტის კვლევაში მონაწილე წარმომადგენელთა პასუხების მიხედვით, ხარაგაულსა და საჩხერეში არსებობს საჭიროებების შეფასების შედეგები დოკუმენტის სახით. ხოლო ჭიათურაში _ არა.

ცხრილი 6. არსებობს თუ არა საჭიროებების შეფასების შედეგები დოკუმენტის სახით?

მუნიციპალიტეტი	საჭიროებების შეფასების შედეგების დოკუმენტი
ხარაგაული	✓
ჭიათურა	---
საჩხერე	✓
ზესტაფონი	არ აქვთ შეფასება ამ ეტაპზე

¹ საჭიროებები დალაგებულია პრიორიტეტის მიხედვით

საქართველოს კანონის - ბავშვის უფლებათა კოდექსის 28 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა ერთჯერადი არ უნდა იყოს. იგი მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვისა და მისი ოჯახის გაძლიერებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების მდგრადი უზრუნველყოფით. კერძოდ:

- ❖ სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერით;
- ❖ არამალადობრივი კომუნიკაციისა და პოზიტიური მშობლობის შესახებ კონსულტაციებითა და კურსებით;
- ❖ მშობლებისთვის პროფესიული განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზებით;
- ❖ დამხმარე სოციალური სერვისებით, როგორიცაა: დღის ცენტრი, მკურნალობის კურსი ალკოჰოლიზმის, ნარკოდამოკიდებულების ან სხვა ფსიქოემოციური საჭიროების დროს.

კითხვაზე, შექმნილია თუ არა ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამები ან სტანდარტები, პასუხებიდან ირკვევა, რომ მხოლოდ ერთეულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს მათი შემუშავება ან არის უკვე შემუშავებული, თუმცა პასუხებში აგრეთვე დასახელდა, თუ კონკრეტულად რა მიმართულებით იდგმება ნაბიჯები ბავშვთა უფლებების დაცვის პროგრამების ხელშეწყობის მიზნით.

ცხრილში #7 წარმოდგენილია ინფორმაცია ბავშვთა უფლებების დაცვის კონკრეტული მუნიციპალური პროგრამების მდგომარეობის შესახებ.

ცხრილი 7. შექმნილია თუ არა ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამები ან სტანდარტები?

	ხარაგაული	ჭიათურა	საჩხერე	ზესტაფონი
ოჯახის გაძლიერების ან ხელშეწყობის პროგრამა	დიახ, თუმცა ჯერ არ არის ასახული პრიორიტეტების დოკუმენტში	----	----	დიახ, და ასახულია პრიორიტეტების დოკუმენტში
მაგნე ზეგავლენისაგან დაცვის/მხარდაჭერის	შემუშავების პროცესშია	----	----	----

მუნიციპალური პროგრამა				
სათანადო საცხოვრისი პირობების დაცვის სტანდარტები	შემუშავების პროცესშია	----	----	----
უვნებელი, ჯანსაღი და სოციალური აქტივობის ხელშემწყობი გარემოს ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამა	შემუშავების პროცესშია	----	----	----

საპილოტე მუნიციპალიტეტების პროგრამების ბიუჯეტების ანალიზი

აღსანიშნავია, რომ სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით გასაცემი დახმარება, როგორც წესი, ყველა მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების დადგენილებისა და ადგილობრივი სოციალური დახმარების გაცემის წესის შესაბამისად რეგულირდება.

საპილოტე მუნიციპალიტეტების 2021 წლის პროგრამების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამული წილი საერთო ბიუჯეტიდან საშუალოდ წარმოადგენს 5-9 % - ს. ყურადსაღებია, რომ სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის პროგრამების ბიუჯეტის უმეტესი წილი მოდის ჯანდაცვის პროგრამებზე. აქცენტი მოსახლეობის, და მათ შორის ბავშვიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამებში კეთდება ერთჯერად ფულად დახმარებებზე, ან სამედიცინო და სოციალური მომსახურების ხარჯების დაფარვაზე.

აღსანიშნავია, რომ ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე ორიენტირებული მომსახურებები და პროგრამები ძალიან მწირია ყველა საპილოტე მუნიციპალიტეტში.

ახალი პროგრამის შემუშავება ძირითადად ხდება წინა წლის პროგრამის გამეორებით ან უმნიშვნელო ცვლილებებით. პრაქტიკულად, არც ერთ მუნიციპალიტეტში არ ხდება საჭიროებების კვლევა და შეფასება, ახალი, ბავშვზე და ოჯახზე ორიენტირებული პროგრამების შესამუშავებლად.

ცხრილი #8 საპილოტე მუნიციპალიტეტებში საერთო ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამული წილი (თანხა მოცემულია ათას ლარში)

მუნიციპალიტეტი	მოსახლეობა	2021 წელი		
		ბიუჯეტი	სოც.უზრუნველყოფა	პროცენტი მთლიანი ბიუჯეტიდან
ხარაგაული	18.3	17.961	921.8	5.10%
საჩხერე	5.6	31.041	892.1	3.00%
ჭიათურა	12.3	20.1	1721.5	8.50%
ზესტაფონი	55.3	28159	2312.4	8.21%

საპილოტე მუნიციპალიტეტების 2021 წლის ბიუჯეტების დეტალური აღწერა- იხ. დანართი #1


- ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის არ არის საკმარისი ისეთი სერვისები, როგორიცაა:
 - უსაფრთხო გარემო, მათ შორის ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ხელმისაწვდომობა;
 - ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა;
 - ბავშვების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება- კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ჰიგიენური საშუალებებით უზურუნველყოფა;
 - განმავითარებელი წრეებისა თუ თავისუფალი დროის გატარების შესაძლებლობების უზურუნველყოფა;
 - განათლებაზე ხელმისაწვდომობა, როგორც სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, ისე სკოლაში თუ დღის ცენტრებში;

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებების აოორიინაია სხიაოასხია ოწიიბიბოან

კვლევამ გამოკვეთა, რომ ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის განყოფილებებს აქვთ კოორდინაცია სხვადასხვა უწყებებთან, ეს მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ უწყებათაშორისი თანამშრომლობა არის შემთხვევის წარმატებულად მართვის გარანტი.

დიაგრამაზე #2 გამოსახულია ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად, რომელ დაწესებულებებთან მიმდინარეობს კოორდინაცია მუნიციპალიტეტებში მთლიანად, ხოლო ცხრილი #8 ასახავს თითოეული მუნიციპალიტეტის თანამშრომლობას.

დიაგრამა 2 რომელ დაწესებულებებთან მიმდინარეობს კოორდინაცია ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად



საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად ბავშვთა მხარდაჭერის განყოფილებებს კოორდინაცია ყველაზე ხშირად აქვთ სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებთან (მათ შორის, სოფლის ექიმები), ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან და თავშესაფრებთან. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და სახალხო დამცველთან არც ერთ მუნიციპალიტეტს არ აქვს კოორდინაცია. ისევე როგორც არ აქვთ კოორდინაცია მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებთან. კოდექსი ითვალისწინებს რომ მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვთა საუკეთესო ინტერესები. აქედან გამომდინარე საბავშვო ბაღების, სკოლების, სკვერების მშენებლობა პროექტირების დროს მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ კონსულტირება უნდა ხდებოდეს ბავშვთა განყოფილებებთან.


ცხრილი 9. რომელ დაწესებულებებთან მიმდინარეობს კოორდინაცია ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განსახორციელებლად

	ხარაგაული	ჭიათურა	საჩხერე	ზესტაფონი
საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტრო	----	✓	✓	----
სოციალური დახმარების სააგენტო	✓	✓	----	----
შინაგან საქმეთა სამინისტრო	✓	✓	----	----
სახალხო დამცველი	----	----	----	----
საქართველოს პროკურატურა	----	----	----	----
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური	----	✓	----	----
საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები	✓	----	✓	----
სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი;	----	----	----	----
საბავშვო ბაღების სააგენტო	✓	✓	----	----
ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები და თავშესაფრები	✓	✓	----	----
სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები)	✓	✓	----	✓
მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურები	----	----	----	--
ა(ა)იპ სათნოების სახლი, ადრეული განვითარების ცენტრი „თაირისი“	✓	----	----	----

დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ხარაგაულში ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შერჩეულია შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირი (ადრეული განვითარების ცენტრი „თაირისი“).

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაციას მუნიციპალიტეტებიდან, მხოლოდ ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ახორციელებს და ორგანიზაცია, რომლის პროექტის კოორდინაციას ახდენს, არის ა/ო იმერეთის განვითარების ცენტრი.

დიაგრამა 3. ხორციელდება თუ არა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია?



ბენეფიციართა შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა შექმნილია ხარაგაულის და საჩხერის მუნიციპალიტეტში. იქ სადაც არ არის შექმნილი ბაზა, ჯერ კიდევ მიმდინარეობს კვლევა ბენეფიციართა სიის დასაზუსტებლად.

ცხრილი 10. შექმნილია თუ არა მონაცემთა ერთიანი ბაზა ბენეფიციართა შესახებ?

	ხარაგაული	ჭიათურა	საჩხერე	ზესტაფონი
ბენეფიციართა შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა	√	---	---	√

განცხადების გამარტივებული ფორმა იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში თვითონ ბავშვმა მიმართოს მუნიციპალიტეტს, შემუშავებული აქვს მხოლოდ ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებს.

ცხრილი 11. გაქვთ თუ არა შემუშავებული განცხადების გამარტივებული ფორმა იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში თვითონ ბავშვმა მიმართოს მუნიციპალიტეტს

	ხარაგაული	ჭიათურა	საჩხერე	ზესტაფონი
განცხადების გამარტივებული ფორმა	----	✓	✓	----

ფოკუს-ჯგუფის შედეგები

მშობლების, პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელების მიერ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შეფასება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები მიმდინარეობდა პანდემიის პირობებში და შესაბამისად დისტანციური სწავლების სირთულეები ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო წარმოჩენილი. საუბარი განსაკუთრებით შეეხო იმ ზოგადი განათლების და სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომელსაც დისტანციურად უწევდათ აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ მიმართულებით თავიდანვე აღვნიშნავთ დისტანციური სწავლებისა და სასკოლო მზაობის ძირითად პრობლემას, ეს არის:

1. დისტანციურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, რომელიც ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში ერთნაირი სიმწვავეით გამოიკვეთა
2. ოჯახში, არასასურველი გარემოს ზემოქმედება ბავშვის ფსიქოემოციურ ფონზე, მაშინ როდესაც მოზარდი ან ბავშვი დისტანციურად სწავლობს და უწევს სახლიდან დაესწროს გაკვეთილებს.

დისტანციურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა: დისტანციური რეჟიმი, ზოგიერთ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებში, დაუძლეველი გამოწვევაა. ოჯახებში ერთის მხრივ ინტერნეტისა და ტექნიკის არარსებობა, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალური და ეკონომიკური ფონის გამო მშობლების დაბალი მოტივაცია, აფერხებს ბავშვის დისტანციურ განათლებაში ჩართულობას. აღნიშნული პრობლემები მოზრდილებთან, ბავშვებს უზღუდავს „განათლების უფლების“ რეალიზებას, ზოგ შემთხვევაში კი ტოვებს მათ განათლების სივრცის გარეთ.

განსაკუთრებით მძიმეა სიტუაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, სსსმ მოსწავლეების მშობლების ნაწილი, სოციალურად დაუცველი, ან თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა, ასეთი ოჯახებისთვის დისტანციურ სწავლებაში მოსწავლის ან ბავშვის ჩართულობა თითქმის დაუძლეველი ამოცანაა.

ოჯახში, არასასურველი გარემოს ზემოქმედება ბავშვის ფსიქოემოციურ ფონზე: ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში დასახელდა შემთხვევები, როდესაც ბავშვისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია გამოერიდოს ოჯახურ გარემოს და რამდენიმე საათი მაინც დაეყოს გარემოში, სადაც ემოციურად დაცული იქნება იმ არასასურველი სოციალური თუ ფსიქოლოგიური ფონისგან, რომელიც ზოგიერთ ოჯახში არსებობს, იქნება ეს სოციალურად დაუცველი, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახი თუ ეკონომიკურად სრულიად წელგამართული ოჯახი, სადაც არაჯანსაღი გარემოა, მაგალითად მშობლებს შორის ან მშობლებსა და ბავშვებს შორის არსებული კონფლიქტი. სკოლა და საბავშვო ბაღი თუ დისტანციურ რეჟიმშია, ბავშვი მოკლებულია ჯანსაღ გარემოს, ამიტომ მნიშვნელოვანია ასეთი ოჯახების იდენტიფიცირება და მოზარდებისა თუ სკოლამდელი ასაკის ბავშვების მხარდაჭერა.

ზოგადი ფონი: მთლიანობაში, მშობლებმა, პედაგოგებმა და აღმზრდელებმა, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. თვლიან, რომ მათ მუნიციპალიტეტებში იშვიათია შემთხვევები, როცა ბავშვთა უფლებები ირღვევა ან იზღუდება. სავარაუდოდ ამგვარ შეფასებას ისინი იმიტომ იძლევიან, რომ ბავშვთა უფლებებში, მხოლოდ ბავშვთა მიმართ ძალადობის, ოჯახური ძალადობისა და ბულინგის საკითხებს განიხილავენ და უფლებების მხოლოდ ამ დარღვევის მაგალითებს თვლიან ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმად. ბავშვთა უფლებების სხვა მუხლები, როგორიცაა განათლების უფლება, დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლება, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება, საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება და ა.შ უფრო მეტად, ზოგადი პრობლემებისა და ბავშვთა საარსებო გარემოს აღსაწერ საკითხებად განიხილება.

ყველაზე მეტად გახსნილად და ინფორმირებულად ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე სკოლის პედაგოგები საუბრობდნენ, რამეთუ უკეთ იციან ბავშვთა უფლებების შესახებ და შეუძლიათ მშობლებზე უკეთ მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და სახელდება. მშობლებს ძალიან უჭირთ სახელი დაარქვან ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებს.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა სამიზნე მუნიციპალიტეტებში:

1. ინფორმირებულობა ბავშვთა უფლებების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ კითხვაზე მშობლები, პედაგოგები და აღმზრდელები ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას საგანგაშოდ არ მიიჩნევენ, მაინც თვლიან, რომ საკითხი საკვლეია და შესაძლოა ბავშვები ან ოჯახები არ ყვებოდნენ უფლებების დარღვევის შესახებ,

რადგან თვლიან, რომ ფაქტის აღიარება სირცხვილია. ამ მოსაზრებას ადასტურებს ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფზე მოყვანილი შემთხვევა, რომელიც აღნიშვნის ღირსია.

„ჩვენთან 10 თუ 11 წლის ბიჭმა თავი მოიკლა, რადგან მასზე 16 წლის ბიჭი ძალადობდა. მათთან რომ მივედით მეზობლებმა გვითხრეს, ეს რა სირცხვილი დაგვემართაო. ის კი არ თქვეს, რომ ეს დიდი უბედურება იყო, არამედ თქვეს რომ სირცხვილი იყო და თითქოს მკვდარ ბავშვს ადანაშაულებდნენ, ასეთი სახით რომ გაიგეს აღნიშნული ამბის შესახებ. მგონია მეზობლები რაღაცას ხვდებოდნენ, მაგრამ არ უნდოდათ გამჟღავნება სრცხვენოდათ. ვერ ხვდებიან რა შეიძლება მოყვეს ასეთ დამალვას, არ იციან. მასწავლებელი თუ არ არის, არავინ ელაპარაკება უბრალო მოსახლეობას უფლებების შესახებ, მასწავლებლებს ტრენინგებს უტარებენ. ამ ბავშვმა კიდევ არ იცოდა ვისთვის მიემართა, როგორ გაეგებინებინა თავისი გასაჭირის შესახებ არადა მცდელობა ჰქონია. ამავე სოფელში პენსიის დასარიგებლად ერთი ქალი დადიოდა, იმავე სოფლის მკვიდრი. რადგან პენსიას არიგებდა პატრული დაჰყვებოდა. ერთ დღეს მასთან მისულა ეს მსხვერპლი ბიჭი და ერთი რაღაცის თქმა მიჰდა თქვენთვისო, მაგრამ არ უთქვამს. მოძალადე მას აშინებდა და ვერ გაბედა, მაგრამ რადგან პოლიციელებს ხედავდა უნდოდა გაეხსენებინა, თუმცა ესეც ვერ ქნა და შემდეგ სუიციდით დაასრულა სიცოცხლე“ - მშობლების ფ.ჯ.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მეტი ინფორმაცია პედაგოგებისგან მივიღეთ, ვიდრე მშობლებისგან, პედაგოგები ერთის მხრივ ინფორმირებული ჯგუფია ბავშვთა უფლებების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ ინფორმირებული უფრო მეტი ბავშვის შესახებ, ვიდრე მშობლები. მშობლები საუბრობენ მხოლოდ საკუთარი შვილებისა და მათ სამეგობრო წრეზე დაკვირვებით.

ფოკუს-ჯგუფებმა ცხადყო, რომ მშობლები, უმეტეს შემთხვევაში ვერ ერკვევიან ბავშვთა უფლებების საკითხებში და საჭიროა მათთვის ტრენინგების ან/და სწავლების ჩატარება ბავშვის უფლებების შესახებ.

ინფორმირებული მშობლებისა და პედაგოგების მოსაზრებით, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ყველაზე არაინფორმირებული ჯგუფი ბავშვთა უფლებების შესახებ მშობლები არიან. მათი აზრით, ბავშვების უფლებების დარღვევების მიზეზი, მშობლების არაინფორმირებულობაზე გადის. მაგ: მშობლების გარკვეული ნაწილი მოსწავლის სკოლაში სიარულს აუცილებლობად არ განიხილავს და მისი სწავლის უფლებას უგულებელყოფს.

აღსანიშნია, რომ ფოკუს ჯგუფებზე მონაწილე მშობლები, ვისაც ბავშვი დღის ცენტრში დაჰყავს ან/და ჰყავს ბავშვი სპეციალური საჭიროებებით და დაჰყავს სკოლაში ინტეგრირებულ კლასში ან/და მინდობით ჰყავს აღსაზრდელად მიბარებული, საკმაოდ ინფორმირებულები აღმოჩნდნენ ბავშვთა უფლებების შესახებ. ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ დღის ცენტრების თანამშრომლები, მასწავლებლები და ა.შ. ხშირად რთავენ მშობლებს საგანმანათლებლო

პროექტებში ან/და აცნობენ მათ ბავშვების უფლებებს ინდივიდუალურად, ასწავლიან ბავშვებთან მოპყრობის წესებს და ასწავლიან პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში თუ ვის უნდა მიმართონ. მართალია ეს სრულად ვერ აგვარებს ყველა მშობლის ინფორმირებულობის საკითხს, თუმცა შეძლებისდაგვარად აუმჯობესებს მშობლების დამოკიდებულებებისა და ქცევის საკითხებს ბავშვთა უფლებრივ ქრილში.

კონკრეტული პრობლემები, რომელიც ასახავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას:

პედაგოგებისა და ზოგიერთი მშობლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბავშვთა უფლებები, არც თუ დაცულია. საკითხში ჩაღრმავების შემდეგ გამოიკვეთა, რომ ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის არ არის საკმარისი სერვისები, როგორიცაა:

- **უსაფრთხო გარემო, მათ შორის ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ხელმისაწვდომობა;**

მძიმე ეკოლოგიური ფონი, სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან ერთ-ერთში (ჭიათურა) ბავშვთა უფლებების ქრილში პირველ პრობლემად დასახელდა. მაღალია ონკოლოგიური დაავადებების რისკი, ღია კარიერები და დაბინძურებული გარემო, ბავშვებს ართმევს უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას.

„ახლა ჩვენთან თოვლია და თავისუფლად ვასეირნებთ ბავშვებს კარიერები დახურულია, მშვიდი ეკოლოგიური ვითარებაა, დათბება, გამოვა ამინდები და შეუძლებელი გახდება ბავშვების გასეირნება სუფთა ჰაერზე, უსაფრთხო გარემო ხომ ბავშვის უფლებაა? ჭიათურაში ეს მუდამ დარღვეული აქვთ მათ“ - მშობელი

- **ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა;**

ჯანდაცვის სერვისები, რომელიც შეიძლება დასჭირდეთ მოზარდებს და ბავშვებს, ხშირ შემთხვევაში არ არის ადგილზე და სხვა კლინიკებში უწევთ მომსახურების მიღება, რაც ყველა ოჯახისთვის არ არის ხელმისაწვდომი. ძვირია ტრანსპორტირება და ხშირად საჭირო კვლევების გარეშე რჩებიან ბავშვები.

სოფლის სკოლების უმეტესობა საჭიროების შემთხვევაში მოკლებულია სამედიცინო მომსახურების გაწევის შესაძლებლობებს. სკოლებში არ არის ექიმის ან ექთანის შტატი, ამავდროულად ადგილობრივი ამბულატორიის ექიმებიც რიგ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი.

- მძიმე ეკონომიკური ფონის გამო ბავშვები არ წარმოადგენენ პრიორიტეტს ოჯახში და ხშირ შემთხვევაში ისინი ოჯახზე გამოყოფილი შემწეობის მიზერულ ნაწილსაც კი ვერ იღებენ.
- „სამოქალაქო განათლებას ვასწავლი, რასაც ვხედავ ბავშვთა უფლებების დარღვევის მიმართულებით, ეს ყველაფერი კავშირშია ეკონომიკურ მდგომარეობასთან. გამოვყოფ მრავალშვილიან ოჯახებს. ბავშვების უფლებები ირღვევა ასეთ ოჯახებში განსაკუთრებულად. აქვთ სოციალური დახმარება, მაგრამ როგორ ნაწილდება ეს ბავშვების კვებაზე ჯანდაცვაზე და მათ განათლებაზე? მე მგონია, რომ მაინც არა ისე, როგორც ბავშვს სჭირდება, არამედ ისე, როგორც მშობელი თვლის საჭიროდ. გამოვყოფდი დისტანციურ სწავლებას. ვუკავშირდები მშობელს და მეუბნება, რომ არ აქვს ტელეფონი, რითაც ჩაერთვებოდა ბავშვი, ან ინტერნეტის პრობლემა აქვს, აქვე ვიტყვი რომ ზოგ შემთხვევაში მშობლები ბავშვების ONLINE გაკვეთილებს ისე ექცევიან როგორც დასვენების დღეებს და არ უქმნიან მოსწავლეებს სწავლის პირობებს“.

- **კვებით უზრუნველყოფის ნაკლებობა**

არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები ისეთი დეფიციტის წინ აღმოჩნდებიან ხოლმე, როგორც მათი ფიზიკური არსებობისთვის აუცილებელი კვებაა. ზოგიერთი მონაწილის აზრით მშობლები, რომლებიც იღებენ სოციალურ დახმარებას, ნაკლებად ითვალისწინებენ ბავშვების საჭიროებებს და თავის შეხედულებისამებრ მოიხმარენ მიღებულ დახმარებას, რაც ამძიმებს ბავშვების ისედაც არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობას.

- **სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ ოჯახებში არსებობს ბავშვთა არა მხოლოდ სრულფასოვანი, არამედ ზოგადად კვების პრობლემები;**
 - a. ზოგიერთ საბავშვო ბაღში არ არის კვება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის;
 - b. სკოლაში არ არის საკვების ყიდვის შესაძლებლობა, არ არის ადგილი სადაც ბავშვს შეუძლია სახლიდან წაღებული საკვები შეჭამოს დასვენების დროს.

„ჩვენი ბაღი პირველ საათამდე ფუნქციონირებს, რადგან კვების სერვისი არ გვაქვს შენობის შეუსაბამობის გამო. თუმცა ეს ბავშვებისთვის ძალიან ცუდია. მუნიციპალიტეტს ვთხოვეთ, მხოლოდ მცირედით, „პეჩენიებით“ მაინც უზრუნველყო კვება ბავშვებისთვის, მაგრამ ჯერ არ არის გადაწყვეტილი საკითხი. არადა ყველა ბავშვი სოციალურად დაუცველი ოჯახიდან არის და მათთვის ასეთი მცირე ულუფაც კი მნიშვნელოვანია. 5 წელია ჩვენი სასკოლო მზაობის ჯგუფი ასე ფუნქციონირებს, ყოველ წელს ველოდებით რომ ბაღად გადაკეთდებით, წელს თითქოს გვპირდებიან მაგრამ ჯერ არ ვიცით“ - სოფლის სასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელი პედაგოგი

„კვების საკითხი სკოლაშიც მოსაგვარებელია, აუცილებელია მოსწავლეებს ადგილი მაინც ჰქონდეთ, სადაც სახლიდან წაღებულ საჭმელს შექამენ, მოზარდობა ძალიან რთული ასაკია და საჭიროა მოზარდი სრულფასოვნად იკვებებოდეს. ბოლო გაკვეთილზე მოზარდებს უკვე ძლიან უჭირთ კონცენტრაცია, რადგან შიათ. ხომ შეიძლება მუნიციპალიტეტებმა ან მთავრობამ მოსწავლეზე 2 ლარიანი ვაუჩერი კვებისთვის გამოეცხადოს?“ - მარტოხელა მშობელი

- **განმავითარებელი წრეებისა თუ თავისუფალი დროის გატარების შეზღუდვა;**

„ხარაგაულში პრობლემები არსებობს მოზარდების განვითარების მიმართულებით. მცირეა სპორტული სექციები, თუმცა არსებული სექციებიც კი, მხოლოდ ვაჟებისთვის ფუნქციონირებს და გოგონების ადგილი იქ არ არის. ასეთი მიდგომით, ირღვევა გენდერული თანასწორობა და შესაბამისად მოზარდის, ბავშვის და გოგონების.“

„ბავშვებისთვის არის წრეები, თუმცა მაღალი ფასის გამო მშობლებს ხშირად ვერ დაჰყავთ შვილები, მართალია სოციალურად დაუცველებისთვის უფასოა აღნიშნული წრეები, მაგრამ სოციალურად დაუცველის სტატუსი თუ არა აქვს ადამიანს და თუ მას დაბალი შემოსავლები აქვს მაინც ვერ ისარგებლებს ამ სერვისით. - მშობელი

- **განათლებაზე ხელმისაწვდომობა, როგორც სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, ისე სკოლაში თუ დღის ცენტრებში;**

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ყველა სოფელში არ ფუნქციონირებს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, მეზობელ სოფლამდე კი არ არის მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს მიიყვანდა ბაღამდე;

„მე ვმუშაობ საბავშვო ბაღში ერთ-ერთ სოფელში, ჩვენი საბავშვო ბაღი ახალი გახსნილია და ევროპული სტანდარტებით აღჭურვილია, ბავშვებთან უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას თუ მხოლოდ ჩვენი ბაღით შემოვიფარგლები, მაშინ სიტუაცია დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ჩვენს გვერდით სოფლებიდან ბავშვებს არა აქვთ შესაძლებლობა იარონ და მიიღონ ის სერვისები, რომელიც ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რადგან არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელიც გადაიყვანდა ბავშვებს. დილის 7 საათზე ვერ ააყენებს მშობელი ბავშვს და ვერ წამოიყვანს ჩვენთან ფეხით რამდენიმე კილომეტრზე, და საღამოს იმავე გზით ვერ დააბრუნებს სახლში.“ - სოფლის საბავშვო ბაღის აღმზრდელი პედაგოგი.

- **ბავშვთა შრომითი ექსპლოატაცია**

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც პედაგოგების ყველა ფოკუს-ჯგუფზე გამოიკვეთა არის მოზარდების შრომის გამოყენება ოჯახურ მეურნეობაში. არსებობს ბავშვების შინამეურნეობის სასარგებლოდ შრომის ფაქტები განსაკუთრებით სოფლად. ამის სანაცვლოდ კი სწავლის უფლება იზღუდება და ირღვევა ბავშვის უფლება განათლებაზე;

„მე ცალკე გამოვყოფდი პრობლემას, რომელსაც ბავშვთა შრომითი ექსპლოატაცია ქვია. შემოდგომით და გაზაფხულზე მშობლები შვილებს აცდენინებენ სკოლას იმის გამო რომ მათ შრომით ძალად იყენებენ. მე მივესალმები ბავშვის ჩართვას ოჯახის მეურნეობაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სწავლის ხარჯზე და სრულფასოვანი შრომითი დღის ხარჯზე. ეს ბავშვთა ექსპლოატაციაა, მაგრამ არავინ ამის შესახებ არ ვსაუბრობთ. მთელი კვირით რომ აცდენინებს მშობელი ეს ნიშნავს რომ არღვევენ მშობლები მათ უფლებებს. მე ვასწავლი სამოქალაქო განათლების ნაწილში მათ უფლებებს, არც მინდა გადავამლაშო და ბავშვმა მშობელს უჩივლოს, მაგრამ აუცილებელია მან იცოდეს რა უნდა ქნას, როცა მისი უფლებები დაირღვევა“ - პედაგოგი

სოციალურად დაუცელი ოჯახების ან/და დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებში მცხოვრებ მოზარდებს სირთულეები აქვთ უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებითაც. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მოზარდებს, ვინც ცხოვრობს სოფლად ან იმ ქალაქში სადაც არ არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მშობლებს არა აქვთ იმდენი შემოსავალი, რომ უზრუნველყონ სტუდენტი საცხოვრებლით, კვებით და კომუნალური ხარჯებით. საუბარი იმის შესახებ, რომ მას გადაუხდიან სწავლის გადასახადს არ არის საერთოდ. ამიტომ მოსწავლეები დემოტივირებულები არიან სკოლაშიც, იციან რა, რომ განათების შემდეგ საფეხურზე ვერ შეძლებენ გადასვლას.

„ზოგიერთი მოზარდი ძალიან კარგი მონაცემების ადამიანია და მას აქვს უნარები და სურვილი მიიღოს უმაღლესი განათლება, მაგრამ ოჯახის ეკონომიკური ფონი მათ ამის შესაძლებლობას არ აძლევს. მათ არ შეუძლიათ დამატებით იმეცადინონ რეპეტიტორთან. თუ მისი მზაობა მაღალია, იცის რომ მაინც ვერ ისწავლის ქალაქში, რადგან მის ოჯახს ფული არ ექნება ბინის ქირა გადაუხადოს. ამიტომ ბავშვთა შრომაში ადრეული ასაკიდან ერთვებიან მშობლების მოთხოვნით. მართალია, ეს უმეტესად სოფლების მოზარდებს ეხება, სადაც სოფლის მეურნეობაში მუშა ხელი ყოველთვის საჭიროა. - პედაგოგი

- **ბავშვთა და მოზარდთა არასახარბიელო ფსიქოემოციური ფონი.**

ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით თინეიჯერობის ასაკის მოზარდები რთული ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე დგანან. იკვეთება, როგორც ემოციური, ასევე ქცევითი სირთულეები, რომელთა კორექტირების შესაძლებლობების დეფიციტია ადგილებზე. სკოლის პედაგოგები ხშირ შემთხვევაში მარტო აღმოჩნდებიან ხოლმე ასეთი პრობლემების წინაშე და არ იციან ვის მიმართონ და როგორ გაუწიონ მოზარდს დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგების უმრავლესობას აქვს ტრენინგები გავლილი მოზარდების ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ, მათი უნარები არ არის საკმარისი მოახდინონ მოზარდისთვის კვალიფიციური დახმარება. ხშირად სპეციალური მასწავლებელი სკოლაში ითავსებს ფსიქოლოგის ფუნქციასა და პირველი რგოლია, რომელიც რეაგირებას ახდენს მოზარდის ფსიქოემოციურ რეაქციაზე.

- a. მუნიციპალიტეტში ფსიქოლოგების და ფსიქოლოგიური სერვისების დეფიციტია;
- b. ფსიქოლოგების დეფიციტია, როგორც ზოგადად სამიზნე რეგიონებში, ასევე სკოლებში, სადაც ინტეგრირებული კლასები არსებობს. ფსიქოლოგიებად განიხილებიან სპეც. პედაგოგები, რომლებიც სსსმმოსწავლეებთან მუშაობენ.
- c. ბავშვთა უფლებების შესახებ მშობლები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები. მშობლების არასათანადო ინფორმირება მოქმედებს ბავშვთა მიმართ მათ ქცევაზე და არღვევს ბავშვის უფლებებს.
- d. პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ბულინგის საკითხებში გარკვევაში, მაგრამ როცა მშობელი აბსოლუტურად არაინფორმირებულია, პედაგოგების მოსაგვარებელი და სამართავი ხდება პროცესი, რაც ხშირ შემთხვევაში შესაძლოა მოუგვარებელი გახდეს და სავალალო შედეგამდე მივიდეს.
- e. ოჯახები, სადაც ბავშვს ჰყავს დამოკიდებული მშობლები ხშირად არასათანადოდ დაცულია ბავშვის უფლებები.

„ეკონომიკური მდგომარეობა რომელიც აქვს ჩვენს მოსახლეობას, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვთა უფლებები დაცული იყოს მთლიანად.“ - მშობელი

„ჩვენ გვყავს მუნიციპალიტეტში ოჯახი, სადაც მამა ლოთია და ოჯახი სოციალურად დაუცველია და იღებს შემწეობას, რომელიც მთლიანად მამის სასმელის ფულზე მიდის და ბავშვს ამ ოჯახში სასკოლო ნივთები (რვეული, კალამი და ა.შ) არა აქვს.

„მშობლები ხშირად იმდენად არაადეკვატურად შეიძლება მოიქცნენ, რომ არ ვიცით რომელი სჯობს, ვუთხრათ მისი შვილის პრობლემების შესახებ, თუ არ ვუთხრათ და ჩვენ თავად მოვაგვაროთ. ცუდი ის არის, რომ ბავშვის პრობლემების დროს ვის უნდა მივმართოთ ესეც არ ვიცით. იყო ასეთი შემთხვევა, მერვე კლასელმა გოგონამ თვითდაზიანებები მიიყენა და ისევ სკოლამ მოვახდინეთ ამ ბავშვისთვის დახმარების აღმოჩენა, რადგან დედა უცხოეთშია, ხოლო მამას შეიძლება დაფიზიკურად ეძალადა მოზარდზე.“ - პედაგოგი

² ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ლუდომანია

- **შრომითი მიგრაცია და ემიგრაცია**

ახალგაზრდა მშობლების ნაწილი წასულია სამუშაოდ დედაქალაქში ან რაიონულ თუ რეგიონულ ქალაქში, ან საერთოდ უცხოეთში. ასეთ შემთხვევაში ბებიები და ბაბუები ზრდიან ბავშვებს, რაც რიგ შემთხვევაში მოსწავლეზე უარყოფითად აისახება. მიუხედავად იმისა, რომ ბებია-ბაბუას მაღალი პასუხისმგებლობა აქვს და ცდილობს ჩანაცვლოს მშობელი, მას მაინც უჭირს მოზარდის ფსიქოემოციური მდგომარეობის ჰარმონიული დაცვა და ბავშვი განიცდის მშობლის ზრუნვის დეფიციტს. აღნიშნულის დამადასტურებელი შემთხვევები აღიწერა პედაგოგთა თითქმის ყველა ფოკუს-ჯგუფზე ყველა მუნიციპალიტეტში. პრობლემებია იმ ოჯახებშიც, სადაც დედა წასულია ემიგრაციაში, ხოლო მამასთან დატოვებულ მოზარდს სჭირდება მხარდაჭერა და მამას ამის უნარი არათუ შესწევს, არამედ ემოციურად ან ფიზიკურად ძალადობს შვილზე. **(ბავშვთა და მოზარდთა არასახარბიელო ფსიქოემოციური ფონი - მესამე ციკატა)**

ბავშვების აღზრდაში მშობლის არასრულფასოვანი მონაწილეობის პრობლემას მონაწილეების ნაწილი დეკრეტული შვებულების ანაზღაურების წესსაც უკავშირებენ, ზოგიერთი დედა იძულებულია ჩვილობის ასაკში დატოვოს ბავშვი ბებიასთან და რადგან სხვა შემთხვევაში სამსახურს დაკარგავს ან შემოსავლის გარეშე დარჩება.

„მე პირადად 2 თვის დავტოვე ბავშვი ბებიასთან რომ გამოვსულიყავი სამსახურში, დეკრეტული შვებულების ანაზღაურება არ ხდებოდა. მშობლები იძულებულები არიან დატოვონ ბავშვები და გავიდნენ სანსახურში. დასაქმების ადგილი კი ზოგჯერ სხვა ქალაქში აქვთ. ზოგჯერ კი მშობლები საერთოდაც ქვეყანაში მიდიან სამუშაოდ, ბავშვები იზრდებიან ბებია-ბაბუასთან. ეს მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, რაც არ უნდა კარგად ზრდიდნენ ბებიები და ბაბუები.“ (საჩხერე პედაგოგები)

„ჩვენ გვყავს სსსმ მოსწავლეები, გვყავს სპეც პედაგოგები, რომლებიც გვეხმარებიან მათთან კომუნიკაციაში, ყველანაირად ვცდილობთ მივაწოდოთ სსსმ მოსწავლეებს მათთვის გასაგებად სასწავლო მასალა, თუმცა სსსმ მოსწავლეები და მათთან ურთიერთობაზე არაფრით იოლი არ არის რთული ქცევის მოსწავლეებთან კომუნიკაცია, არ მინდა დავასახელო მოსწავლე, მას დედა თბილისში ჰყავს და ბებო ზრდის. მას გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულეები აქვს, პროტესტი აქვს დედის მიმართ, რომელიც მასთან არ ცხოვრობს, სიტუაცია იმდენად რთული და საყურადღებო იყო, რომ იძულებული გავხდი მე თავად ამელო ჩემს თავზე ამ ბავშვის დახმარება და მომეძებნა ფსიქოლოგი, რომელიც მას გაესაუბრებოდა. ჩემი ყოფილი აბიტურიენტი საკმაოდ კვალიაფიციური

ფსიქოლოგია. დავურეკე მას და ვთხოვე დახმარება, ცხადია ჩავაყენე საქმის კურსში დამრიგებელი სკოლის ადმინისტრაცია და მანდატურის სამსახური. მანდატურმა უკვე თავად შემომთავაზა მანდატურის სამსახური ფსიქოლოგიური დახმარება მოსწავლისთვის და ქუთაისში გადავაგზავნეთ მოზარდის საქმე. დახასიათება, პრობლემების აღწერა. მე როგორც ვარ საქმის კურსში ბეზიასთან უკვე ჰქონდათ გასაუბრება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგებს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ამ შემთხვევაზე და ვნახოთ რა იქნება.³(პედაგოგების ჯგუფი ჭიათურა)

მშობლების, პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელების მიერ მუნიციპალიტეტში მცხოვრები სსმ ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შეფასება.

ფოკუს-ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, სსმ ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ ზოგადად მუნიციპალიტეტებში არ არის სტერეოტიპული დამოკიდებულება, საზოგადოება ტოლერანტულია, ადმინისტრაციული შენობების უმეტესობა მეტ-ნაკლებად ადაპტირებული, სკოლებში არსებობენ სპეციალური მასწავლებლები, მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს ადრეული დიაგნოსტიკის მუნიციპალური პროგრამა, მიუხედავად ამისა, არსებობს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა, რომელიც შშმ ბავშვების სოციალიზაციას უზრუნველყოფს და მათთვის სერვისების მიწოდების პრობლემა დგას.

ოთხივე მუნიციპალიტეტში არსებობს შშმ პირთა დღის ცენტრები და პანსიონები, არის შშმ ბავშვების მინდობით აღზრდის შემთხვევები. ფოკუს ჯგუფში, მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენენ დღის ცენტრის თანამშრომლებს, ან მინდობით აღმზრდელ მშობელს, ან პანსიონის პედაგოგებს უფრო კრიტიკულია საზოგადოების მიმართ და მშობლების არასახარბიელო დამოკიდებულებაზე საუბრობს შშმ ბავშვების მიმართ. კერძოდ, მათ მიაჩნიათ, რომ, მშობლები რომელთაც არ ჰყავთ სსმ ბავშვები არ ისურვებდნენ სკოლაში მათ შვილთან ერთად სსმ მოსწავლემ ისწავლოს. მართალია ბოლო დროს სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია გაუმჯობესებისკენ, თუმცა როდესაც პრობლემას მშობლები პირადად ეხებიან, დასწავლილი ტოლერანტობა აღარ მუშაობს და მშობელთა ნაწილი კვლავ პროტესტით ხვდება სსმ მოსწავლეს, რომელი მისი შვილის კლასში იწყებს სწავლას. შემდეგ ეგუებიან მოსწავლეს და ბოლოს მეგობრობის ჰარმონიას აღწევენ. მშობელთა აზრით ეს ერთი მხრივ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებულ სტიგმაზე მეტყველებს, ხოლო მეორეს მხრივ მშობელთა არაინფორმირებულობაზე სპეციალური საჭიროებების შესახებ.

³ კვლევის ეთიკიდან გამომდინარე არ მოგვყავს კონფლიქტის დეტალები“

საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს სტიგმები და მშობელთა არაინფორმირებულობა ბავშვების სპეციალური საჭიროებების შესახებ.

- **მოთხოვნა დღის ცენტრებზე**

მიუხედავად იმისა, რომ დღის ცენტრები ფუნქციონირებს, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა მაღალია ოთხივე მუნიციპალიტეტში, მეტი ბავშვია, რომელიც სერვისს საჭიროებს, ვიდრე არსებულ ორგანიზაციების შეუძლიათ მიაწოდონ. შესაბამისად ბავშვების გარკვეული ნაწილი რჩება სახელმწიფო სერვისის მიღმა.

კვლავ და კვლავ მწვავედ დგას დღის ცენტრების ბენეფიციართა მომსახურება 18 წლის შემდეგ. სახელმწიფოს წინაშე, ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიერ დაყენებულია საკითხი, რომ დღის ცენტრის ბენეფიციარად ყოფნის ასაკი 21 წლამდე აიწიოს, მაგრამ ეს მხოლოდ სამომავლო პროექტია.

„ყველამ კარგად ვიცით დღის ცენტრით ვეღარ სარგებლობს ის ბენეფიციარი, რომელსაც 18 წელი უსრულდება. ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი შშმ პირია, მათგან დღის ცენტრის დატოვება ძლიან რთულია და ითხოვენ არსებობდეს დღის ცენტრი 18 წელს ზევით ადამიანებისთვისაც. პირველ რიგში შენობაა საჭირო, რომ 18 წელს ზევით ადამიანები ისეც იმ ვაკუუმში არ აღმოჩნდნენ, საიდანაც გამოვიყვანეთ.“ (საჩხერე, დღის ხელმძღვანელი)

საინტერესო მოსაზრება გამოიკვეთა იმ ჯგუფებში, სადაც დღის ცენტრის თანამშრომლები და ბენეფიციართა მშობლები იყვნენ. მათი მონათხრობიდან შშმ ბავშვის მშობლებს ურჩევნიათ დღის ცენტრში ატარონ ბავშვები, ვიდრე სკოლაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სკოლის გარემო მაინც არ არის ჯერ კიდევ ბოლომდე მორგებული სსმ მოსწავლეების საჭიროებებს. ცხადია ყველა სკოლაზე ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ რადგან ფოკუს-ჯგუფებში ასეთი მოსაზრება დაფიქსირდა, ვერ ავუვლიდით მას გვერდს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ხარაგაულშიც ფუნქციონირებს დღის ცენტრი, თუმცა მის შესახებ მოსახლეობამ ნაკლებად იცის. ვიცი, რომ ზესტაფონში არსებობს დღის ცენტრი, რომელიც საუკეთესო სერვისს აწვდის ბენეფიციარებს. პოლონეთში, ვარშავაში შშმ ბავშვების საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მისმა ბენეფიციარების დასმა გრანპრი დაიმსახურა და ხარაგაულშიც გვაჩვენეს ეს სპექტაკლი. ამის გარდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ნაბიჯი ხარაგაულის მიერ პროექტები განხორციელდა, რომელიც საზოგადოების

დამოკიდებულებების შეცვლის მიმართულებით იყო შშმ ბავშვების მიმართ და შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ეფექტურად წარიმართა ეს პროექტები. მიუხედავად იმისა, რომ თავად შშმ ბავშვების ერთეულ მშობლებს ჯერ კიდევ რცხვენიათ შვილების გარეთ გამოყვანა და ჩაკეტილები ჰყავს, საზოგადოება ნამდვილად კეთილგანწყობილი და ტოლერანტულია მათ მიმართ.“ - მშობელი

- **სსმ მოსწავლეების განვითარების შესაძლებლობები**

როგორც მშობლების, ასევე პედაგოგების მოსაზრებით, სსმ მოსწავლეებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მაინც არ არის ხელმისაწვდომი ყველა ის სიკეთე, რომელიც სხვა ბავშვებს აქვთ. კიდევ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომია მათთვის სპორტი, შემოქმედებითი წრეები და ა.შ.

„შეზღუდულია სერვისები შშმ ბავშვებისთვის, სპორტი, წრე, განმავითარებელი კლუბები და ა.შ. არ არის ადაპტირებული გარემო. მე პირადად თოჯინების თეატრის მსახიობი ვარ. ასეთი ბავშვები მოჰყავთ თეატრში, ახალ წელს, სადღესასწაულოდ, მაგრამ მათი ადაპტაცია არ არის სრულფასოვანი, მათთვის სიკეთეებზე ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია და თითქოს მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს უნდა მიეწოდოს. თუ ბავშვს შეზღუდვების გარეშე შეუძლია ნებისმიერ დროს მოვიდეს და დაესწროს სპექტაკლს, შშმ ბავშვებისთვის ეს სპეციალური დღეა, რადგან მათ სპეციალური ტრანსპორტი სჭირდებათ ქალაქის არა ადაპტირებულობის გამო.“ - მშობელი

„ვარ სპეციალური მასწავლებელი და ადრეული განვითარების სპეციალისტი. პრობლემები სხვადასხვაგვარია. მე მაგალითად ვიცი ოჯახი, სადაც ცხოვრობს სსმ ბავშვი, რომელსაც სხვადასხვა შეზღუდვა აქვს და სჭირდება მრავალმხრივი მხარდაჭერა, ასეთი ბავშვის მხარდაჭერა ადგილზე არ არსებობს. მას სპეციალური სკოლა ესაჭიროება, რომელიც მულტი ფუნქციურ სერვისს გაუწევს.“ - პედაგოგი

- **ფიზიკური გარემოს ადაპტირებულობა და წვდომა სერვისებზე**

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ზოგადად არასახარბიელო მდგომარეობაა შშმ პირებისთვის ადაპტირებული ფიზიკური

გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით. შენობების, ტროტუარების მხოლოდ ნაწილია ადაპტირებული, არსებობს სკოლები, რომლებიც არა ადაპტირებულია და ინტეგრირებული კლასის მოსწავლეებს ფიზიკური შეზღუდვის გამო მხოლოდ სკოლის პირველ სართულზე უტარდებათ მეცადინეობა. ზოგიერთ შემთხვევაში მშობლებისთვის პრობლემურია ბავშვის ტარება დღის ცენტრში, რადგან ზოგ შემთხვევაში საზოგადოებრივი ტრანსპორტი სოფლიდან არ დადის, ზოგ შემთხვევაში შშმ ბავშვის გადაადგილება საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეუძლებელია, ამიტომ მშობლებს ხშირად უწევთ შშმ პირის შემწეობის დახარჯვა ტაქსის დაქირავებაზე.

ხშირ შემთხვევაში სტატუსის მიღების პრობლემაა, რაც აფერხებს მოსწავლისთვის და ბავშვისთვის განათლების მასზე მორგებული სერვისების მიწოდებას. ადგილზე არ არის სპეციალისტი და სტატუსის მისაღებად დიაგნოსტიკისთვის რეგიონის ცენტრში ჩასვლა ესაჭიროებათ.

მშობლების, პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელები მუნიციპალიტეტში არსებულ ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების შესახებ

სამიზნე მუნიციპალიტეტიდან, მხოლოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რამდენიმე მონაწილეს ჰქონდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი ბავშვთა მხარდამჭერი განყოფილების შესახებ. ერთეულებმა იცოდნენ როგორც მისი ფუნქციების, ასევე მისი საქმიანობის შესახებაც. ფოკუს-ჯგუფზე ყვებოდნენ, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ბავშვთა მხარდამჭერი განყოფილება კვლევის პერიოდში აწარმოებდა ბავშვთა საჭიროებების მოკვლევას, რის შესახებაც საკუთარ ფეისბუქ გვერდზე „ბავშვთა უფლებების დაცვა და მხარდაჭერა - ხარაგაული“ აქვეყნებდნენ ინფორმაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხარაგაულში დაფიქსირდა ერთეული ინფორმირებული მონაწილე აღნიშნული სტრუქტურის შესახებ, სხვა ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმეტესობისთვის საერთოდ უცნობი იყო მისი რეალური ფუნქციები და შემადგენლობა და საქმიანობა.

როგორც ხარაგაულში, ისე სხვა სამიზნე მუნიციპალიტეტებში უმეტესმა მონაწილეებმა ფოკუს-ჯგუფის მიმდინარეობისას გაიგეს ამ სტრუქტურების არსებობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ წინა თავში აღწერილი პრობლემების ჩამონათვალი დიდია და რეალურად მუნიციპალიტეტის ახლადშექმნილი სტრუქტურები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართულები ამ პრობლემების მოგვარებაში, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმეტესობისთვის ბავშვთა უფლებებზე ზრუნვის პირველი რგოლი სახელმწიფო სოციალური სამსახური და სახელმწიფო სოციალური მუშაკები არიან. პრობლემების დადგომისას რეფერირება ხდება სკოლის პედაგოგებთან, მანდატურებთან,

ხშირ შემთხვევაში პატრულთან და/ან სოციალურ მუშაკთან და არა მუნიციპალიტეტში არსებულ ბავშვთა მხარდამჭერ სტრუქტურასთან.

„ერთ ოჯახში მამა ძალადობდა ბავშვზე, იმიტომ, რომ სასმელისთვის გამოერთმია სოციალური დახმარების ფული. 112-ის პატრული დახმარებით მოგვარდა პრობლემა“ - პედაგოგების ჯგუფი

„გოგონამ, რომელიც მამამ გალახა, გამოუძახა პატრული, შეიძლება არ უნდოდა, რომ მისი მშობელი დაეჭირათ, მაგრამ ასე გამოვიდა და მშობელს ფიზიკური ძალადობისთვის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს“ - მშობლების ჯგუფი

ფოკუს-ჯგუფებზე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ბავშვის ჯანმრთელობის თუ სოციალური დაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტმა გამოყო სახსრები, დაეხმარა ოჯახს, ბავშვს გამოეყო დაფინანსება დღის ცენტრამდე თუ სკოლამდე ტრანსპორტირებისთვის და ა.შ. მაგრამ ეს ყველა საქმიანობა განხორციელებულია ან მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის მიერ ან ცენტრალური ხელისუფლების მიერ. არც ერთ ფოკუს-ჯგუფზე არ დასახელებულა მაგალითი იმისა, რომ ბავშვთა მხარდამჭერის სამსახურმა განახორციელა ესა თუ ის საქმიანობა ბავშვთა მხარდამჭერის მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მათი პირდაპირი მოვალეობაა.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების ინფორმირებულ ნაწილს ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული სამსახური ფოკუს-ჯგუფების ჩატარების პერიოდისთვის გადიოდა კვალიფიციურ ტრენინგებს ბავშვთა უფლების შესახებ. ამის შესახებ სოციალურ გვერდზეც მოიძებნებოდა ინფორმაცია სადაც „ბავშვთა უფლებების დაცვა და მხარდამჭერა - ხარაგაული“ ჩართული იყო Child Welfare League-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდამჭერის მუნიციპალური განყოფილების სოციალური მუშაკებისთვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გარდა, სხვა მუნიციპალიტეტების არც ერთ ფოკუს-ჯგუფზე არ დაფიქსირებულა ბავშვთა მხარდამჭერი განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებული ამბავი ან ინფორმაცია.

ყველა ფოკუს-ჯგუფზე დაფიქსირდა ასეთი სტრუქტურის აუცილებლობა, თუმცა აღინიშნა, რომ ეს სტრუქტურა არ უნდა იმეორებდეს უკვე არსებული სოციალური სამსახურის ფუნქციებს. ფსიქოლოგის არსებობა ბავშვთა უფლებების მხარდამჭერი განყოფილების შემადგენლობაში მონაწილეთა აზრით ყველაზე მისასალმებელი ფაქტია. მათ შორის, ვისაც ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულ სტრუქტურაზე და მის შექმნაზე, ერთი მონაწილე იხსენებდა კონკურსს, რომლის საშუალებით მოხდა თანამშრომელთა აყვანა და აკრიტიკებდა ამ კონკურსის დახურულ წესს. იგი აგრეთვე თვლიდა, რომ სასურველი იყო პედაგოგიური განათლება ჰქონოდა ამ სტრუქტურის რომელიმე თანამშრომელს მაინც.

„ეს კონკრეტულად ბავშვების პრობლემებზე და მათ მხარდაჭერაზე უნდა იყოს მიმართული და არა იმაზე რასაც ისედაც აკეთებს მერია“ - პედაგოგების ჯგუფი

გამოითქვა საინტერესო მოსაზრება, რომ თუ წელზე მეტია აღნიშნული განყოფილებები/სტრუქტურები დაკომპლექტებულია და მოსახლეობამ არაფერი იცის მათი საქმიანობის შესახებ, შესაძლოა ეს საარჩევნო მიზნებით შექმნილი სტრუქტურაა, სადაც ასაქმებენ ადამიანებს იმის გამო, რომ აამონ მმართველ პარტიას. ან უბრალოდ ეს არის ჩათვლა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებისთვის და რეალურად არაფრის გაკეთებას აღნიშნული სტრუქტურა არ აპირებს.

დღის ცენტრის თანამშრომლებიც კი, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, არ ფლობენ ინფორმაციას აღნიშნული სტრუქტურის შესახებ. ისინი მუნიციპალიტეტთან უმეტესად პირადი ურთიერთობის საშუალებით აგვარებენ დღის ცენტრის ბენეფიციარების პრობლემებს. მათი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზად არის დასახმარებლად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თუმცა ეს არ არის ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ჩარევით.

მშობლების, პედაგოგებისა და ბაღის აღმზრდელების დამოკიდებულება მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი ერთჯერადი დახმარებების მიმართ

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ უყურებენ პედაგოგები და მშობლები ბავშვთა მხარდაჭერის მუნიციპალურ პროგრამებს ზოგადად და რა დამოკიდებულებები აქვს ერთჯერადი დახმარებების მიმართ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში მოქმედებს როგორც ჯანდაცვის, ასევე სოციალური დაცვის პროგრამები. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ინფორმირებულები და უმეტეს შემთხვევაში ამ პროგრამების ბენეფიციარები არიან. ისინი საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევენ აღნიშნულ პროგრამებს, თუმცა გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ სასურველი იქნება ერთჯერადი დახმარებები პერმანენტულ დახმარებად გადაიქცეს და ყოველ ჯერზე ერთიდაიმავე პროცედურის გავლა არ სჭირდებოდეს ბენეფიციარს, რომელსაც მუდმივად სჭირდება მხარდაჭერა, მაგალითად მედიკამენტების ან რომელიმე ჯანდაცვის სერვისის მისაღებად და ა.შ.

საინფორმაციო წყაროები მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების შესახებ

ფოკუს-ჯგუფებზე დავინტერესდით, თუ საიდან იღებდნენ ინფორმაციას მშობლები და პედაგოგები ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე გავრცელებული წყარო მუნიციპალიტეტების სოციალური გვერდებია. პედაგოგები ასევე ინფორმაციას იღებენ რესურს-ცენტრების საშუალებით, ხოლო სოციალურად დაუცველი მშობლები – სოციალური მუშაკების საშუალებით.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა. კერძოდ, სამიზნე მუნიციპალიტეტებში:

1. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს ;
2. ზოგადად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ფონი უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე;
3. მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის სერვისები არსებობს, თუმცა ხშირ შემთხვევაში არასაკმარისია ბავშვთა უფლებების სრულფასოვანი და ღირსეული დაცვისთვის;
4. პრობლემათა, როგორც სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების ბავშვების, ისე სასკოლო ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით;
5. ბავშვთა უფლებების შესახებ ყველაზე არაინფორმირებული ჯგუფი მშობლები არიან და ხშირ შემთხვევაში ბავშვთა უფლებები მათი მხრიდან ირღვევა;
6. ბავშვთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში არ არსებობს რეფერირების მუნიციპალური დონის სტრუქტურა, რომელიც დაცვის ეფექტურ მექანიზმებს შესთავაზებდა ბავშვებს.
7. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ განყოფილებების შესახებ ინფორმირებულობა ძალიან დაბალია;

8. უმეტესობაში განყოფილებების საქმიანობა გაუმჭირვალეა და არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის მისი ფუნქცია- მოვალებები და კონკრეტული საქმიანობა.

რეკომენდაციები:

2020 წლის 1 ივნისს ამოქმედებულმა „ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსმა“ მთელი რიგი ვალდებულებები წარმოშვა არა მარტო მუნიციპალიტეტებისთვის, არამედ ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო, საჯარო და კერძო პირებისთვის. შესაბამისად, რეკომენდაციები შეეხება არა მარტო მუნიციპალიტეტებს, არამედ ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურას, რომელსაც აქვს ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება კოდექსის მიხედვით.

ძირითადი რეკომენდაციები უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კოორდინაცია, მომსახურებათა განვითარება, მონიტორინგი, სოციალურ დახმარების გაზრდა, დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა განვითარება, განათლება, ცნობიერების გაზრდა, ბავშვთა მხარდაჭერის განყოფილებებისა და პროფესიონალების სისტემური გაძლიერება.

ბავშვის უფლებათა კოდექსის დამტკიცებული სამოქმედო გეგმის (2019-2024) ღონისძიებებში გაწერილია, რომ

- საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი;
- საქართველოს პარლამენტმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, შეიმუშაოს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური პოლიტიკა

კოორდინაცია:

- უნდა ჩაეყაროს საფუძველი სისტემატურ დიალოგს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული გამოწვევების დაძლევის პოლიტიკის საკითხებზე, რამაც უნდა მიგვიყვანოს სახელმწიფოს, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაძლიერებასთან;

- რისკ-ჯგუფების ეფექტიანად გამოსავლენად იდენტიფიკაციის სისტემა უნდა გახდეს მულტისექტორული. მასში უნდა მონაწილეობდნენ, როგორც მუნიციპალური მომსახურებები, ასევე, პირველადი ჯანდაცვის ერთეულები (პოლიკლინიკა, სოფლის ექიმი), სკოლაც.

მომსახურებათა განვითარება:

- უნდა განვითარდეს ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებზე მორგებული ოჯახების მხარდამჭერი დივერსიფიცირებული და ხელმისაწვდომი მომსახურებები.
- საჭიროა დაინერგოს და განვითარდეს ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები, როგორც ცენტრალურ დონეზე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე, მუნიციპალიტეტებში კერძოდ:
 1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - რომლის ამოცანა იქნება სილატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება და ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ხელშეწყობა.
 2. ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა - რომლის ამოცანა იქნება ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა მათ მოახდინონ ბავშვების აღზრდისა და განვითარებისათვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილება. პროგრამამ შეიძლება გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების დახმარება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანასა და მეცხოველეობაში, ასევე ოჯახების გაძლიერების მიზნით მშობლების სახელობო გადამზადება
 3. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მისაღწევად უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების როლი სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით. კერძოდ, უნდა განვითარდეს აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობასა და ჯამში, მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.
 4. ბავშვთა მხარდამჭერი მომსახურების პროგრამა, რომლის მიზანი იქნება ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი

ცხოვრებისთვის მომზადების ხელშეწყობა. პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს სამიზნე ჯგუფის ბავშვების მომზადება შემდეგ საკითხებზე: ბავშვის უფლებები, თავისუფალი დროის მართვა, ბრაზის მართვა, პროფორიენტაცია, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება.

5. პოზიტიური მშობლობის პროგრამა რომლის ამოცანა უნდა იყოს მშობლის ბავშვთან ურთიერთობის გაუმჯობესება. ეს მიზნად უნდა ისახავდეს მშობლებისთვის ბავშვის ქცევის მართვის სტრატეგიების გაცნობას, სასურველი ქცევების გამომუშავებისა და არასასურველი ქცევების შემცირების ტექნიკების შესწავლით. პროგრამის სამიზნე ჯგუფი უნდა იყოს- მშობლები, მეურვეები, მზრუნველები და სხვა დაინტერესებული პირები (ბებია, ბაბუა ან სხვა ახლო ნათესავი, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვზე მზრუნველი).

6. სახელმწიფო ფინანსური მექანიზმები მოუქნელია და დროში გაწეილი გარკვეული ბიუროკრატიული პროცედურების გამო, აქედან გამომდინარე, აუცილებელია გადაუდებელი/კრიზისული სიტუაციებისთვის არსებობდეს განსხვავებული, მოქნილი პროცედურები, რაც სოციალურ მუშაკსა და მულტიგუნდს შესაძლებლობას მისცემს დაეხმაროს კრიზისში მყოფ ბენეფიციარებს(მაგ: მომსახურების შესყიდვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (როდესაც ბავშვს ვერ კვებავს ოჯახი,მას მყისიერად უნდა მიეწოდოს საკვები, არ უნდა დაგეს მომლოდინეთა რიგში ან შესყიდვების სამსახურის რეგულაციებით ვერ მიიღებს დროულ დახმარებას) ;

7. სკოლის ბაზაზე არსებული ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების, კერძოდ კი, ოჯახის კონსულტირების მომსახურების განვითარება რეკომენდირებულია განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც მომსახურების სიმწირეა. აღნიშნულის მისაღწევად უნდა გაძლიერდეს სკოლის სოციალური მუშაობა. ამ მუშაობის კონცეფცია უნდა აღიარებდეს ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან სამკუთხედს – ოჯახი, სკოლა და სამეზობლო, რაც ხელს შეუწყობს როგორც ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენას, ისე რისკ-ჯგუფ ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციას და მათ დაცვას.

8. დღის ცენტრის მომსახურების განვითარება 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის (ბაგა-ბაღის ტიპის მომსახურება) სოფლების დონეზე, შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტების მიერ არასამთავრობო სექტორიდან აღნიშნული მომსახურების შესყიდვის პრაქტიკის დამკვიდრებით;

9. სკოლის ბაზაზე დღის ცენტრის მომსახურების განვითარება (გახანგრძლივებული სწავლება), სადაც არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი იქნება საკვებით და სხვადასხვა აქტივობებით(აკადემიური უნარების განვითარება, საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, დროის სწორი ორგანიზება, ეფექტიანი კომუნიკაცია არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და სხვა განმავითარებელი აქტივობები).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დელეგირებულ უფლებამოსილებას თან ახლავს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა მიზნობრივი ტრანსფერის სახით.

- შესაბამისად, სამინისტროებმა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებთან დაკავშირებით, დროულად უნდა გამიჯნონ კომპეტენციები და მუნიციპალიტეტს გაუწიონ სათანადო სამართლებრივი, ფინანსური და საკონსულტაციო მხარდაჭერა პროგრამების ასამოქმედებლად.
- სასურველია ბიუჯეტში ცალკე ხაზი გაჩნდეს, რომელიც მოიაზრებს ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერ და გამამდიერებელ პროგრამებს და რომლებიც უნდა ფოკუსირდეს ბენეფიციარის საჭიროებებზე. პროგრამის დაგეგმვის პროცესში უნდა ხდებოდეს პრობლემის ანალიზი, რომელიც დაეყრდნობა პრობლემის გაანალიზებას, აღმოფხვრას და არა სწრაფ გადაჭრას. სასურველია ამ პრაქტიკის ფართოდ დანერგვა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ადმინისტრირებაში, რაც გაზრდის ამ პროგრამების მიზნობრიობასა და ეფექტურობას;
- ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა ერთჯერადი არ უნდა იყოს. იგი მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვისა და მისი ოჯახის გამდიერებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების მდგრადი უზრუნველყოფით.
- ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა შესაძლოა განახორციელოს არასამთავრობო ორგანიზაციამ მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მონიტორინგი:

- უნდა დაინერგოს და განვითარდეს მონიტორინგის სისტემა, რომელიც ზეგავლენის ინსტრუმენტით ადგენს, თუ რამდენად ემსახურება ესა თუ ის პროგრამა, მომსახურება რაიმე სოციალური პრობლემის მოგვარებას და რამდენად არის კლიენტის მოთხოვნები ანუ საჭიროებები დაკმაყოფილებული;

განათლება:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ბავშვის განათლების ხელშეწყობის პროგრამები.

- უნდა გაღრმავდეს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ჩართული სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობისა და განსხვავებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების სპეციფიკის თაობაზე;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, დაინერგოს განათლების ინკლუზიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის, თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში, მათთვის განათლების მიწოდებას მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;

ცნობიერების გაზრდა:

- მოსახლეობის ინფორმირებულობის, მშობელთა, ბავშვთა მონაწილეობისა და ჩართულობისთვის საინფორმაციო კამპანიებით უნდა გაიზარდოს განყოფილებაზე ცნობადობა;
- განყოფილებამ შექმნას სოციალური გვერდი, სადაც მუდმივად განათავსებს ინფორმაციასა და სიახლეებს.

- განყოფილებამ პერიოდულად, მაგალითად წელიწადში ერთხელ, მოამზადოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც იქნება საჯარო, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და რომლის მოსმენაც, საზოგადოების ფართო ჩართულობით, საკრებულოს სხდომაზე გაიმართება.

ბავშვის ჩართულობისა და მონაწილეობის უფლება რეალიზებული უნდა იყოს თვითმმართველობისა და „განყოფილების“ საქმიანობაში.

- ადმინისტრაციულ ორგანოში ბავშვების მონაწილეობისა და ამ განყოფილებასთან წვდომის გასაფართოებლად, უმჯობესია, მუნიციპალიტეტის მერიაში, სოციალურ სამსახურთან შეიქმნას ბავშვთა საბჭო, რომლის წევრებსაც მიეცემათ საშუალება, თავად გადაწყვიტონ მათთვის აუცილებელი საკითხები.
- მისასალმებელია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომლობა ბავშვთა საბჭოებთან, თუმცა მსგავს მონაწილეობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩართულობით მანიპულირების რისკი.
- მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს ბავშვზე მორგებული ადაპტირებული განცხადების ფორმები და განათავსოს ისინი ოფიციალურ ვებგვერდზე.
- აუცილებელია, შემთხვევის წარმოებისას, ბავშვის ჩართულობა მისი კეთილდღეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური განვითარების გეგმაში ბავშვის აქტიური მონაწილეობა. შესაძლებელია, ბავშვი თავისი ხელით გაკეთებული ჩანაწერებითაც ამდიდრებდეს გეგმას.

შემთხვევის მართვის პროცესში წარმატების საწინდარია უწყებათაშორისი თანამშრომლობა როგორც სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან:

- უწყებათაშორისი თანამშრომლობის პროცესის სწორედ წარმართვისა და კომპეტენციების განსაზღვრის მიზნით, აუცილებელია გაიწეროს გადამისამართების(რეფერირების) პროცედურები;

სისტემურად უნდა გაძლიერდეს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებები და პროფესიონალები:

- საქართველოს კანონებმა „სოციალური მუშაობის შესახებ“ და „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, დაადგინეს მუნიციპალურ დონეზე, სოციალური მუშაკების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები და მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

- სასურველია ყველა მუნიციპალიტეტში დაინერგოს ერთიანი პრაქტიკა, შეიქმნას ბავშვთა დაცვის განყოფილებები, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ბავშვის უფლებათა კოდექსის ვალდებულების გათვალისწინებით (ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი. მათი საქმიანობა ეფუძნება ოთხი თვალის პრინციპს, რაც გულისხმობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას ან მიღებული გადაწყვეტილების სულ მცირე ორი თანამშრომლის მიერ დადასტურებას.

- მნიშვნელოვანია გაძლიერდეს მულტიდისციპლინური გუნდის შესაძლებლობები, მკაფიოდ განისაზღვროს სამუშაო არეალი, ბავშვთან ურთიერთობაში წამყვანი როლი მიენიჭოს არა მხოლოდ ერთ პირს – სოციალურ მუშაკს, არამედ მთლიანად გუნდს.

- სასურველია შეიქმნას სოციალურ მუშაკთა ქსელი (თითო მუნიციპალიტეტში იყოს 2 სოციალური მუშაკი მაინც), იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს კადრის გადინებას, ან გარკვეულ სხვა პრობლემას, რაც შეაფერხებს სოციალურ მუშაობას ბენეფიციარებთან;

-

და ბოლოს, კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად,

- მუნიციპალიტეტებმა უნდა აწარმოონ სტატისტიკა დამტკიცებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად;

- შექმნან ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა.

უნდა დაინერგოს სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობის სისტემა, რომლის მიზანია სოციალურ მუშაკთა კომპეტენციების განვითარება, მხარდაჭერა,

პროფესიული ქცევისა და ეთიკური პრაქტიკის ხელშეწყობა; (მუხლი 73. პროფესიონალთა სპეციალიზაცია)

დანართები

დანართი #1 მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების სოციალური პროგრამების ანალიზი

ზეესტაფონის სოციალური პროგრამები

მოსახლეობა - 55,3 ათასი ადამიანი

ბიუჯეტი 28,159 მლნ ლარი (სოც. უზრუნველყოფა 2312,4 ათასი ლარი)

სულ ხორციელდება 15 სოციალური პროგრამა, აქედან ბავშვიანი ოჯახებისთვის 2 პროგრამა

1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური დახმარება 690,0 ათასი ლარი

1) ლეიკემიით, ჰემოფილით და ჰომოზიგოტური B თალასემიით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება განისაზღვროს 600 ლარით. 2) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი განესაზღვროთ დახმარება 500 ლარის ოდენობით. 3) 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, რომლებთაც მინიჭებული აქვთ შ.შ.მ. პირის სტატუსი გარდა იმ პირებისა რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი, განესაზღვროთ დახმარება თითოეულს -200 ლარის ოდენობით. 4) მარტოხელა ოჯახები (დედა, მამა) რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვები დახმარება განისაზღვროს 200 ლარით. 5) მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) დახმარება განისაზღვროს 500 ლარით. 6) ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევა. დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა 200 ლარი. 7) რადიოაქტიური იოდით მკურნალობა -500 ლარი. 8) ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარება - 200 ლარი.. 9) ოფთალმოლოგიური

დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექციის დახმარება- 300 ლარი.. 10) „განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება“. ოჯახი/პირი დახმარება განისაზღვროს 100- დან არაუმეტეს 500 ლარი, წლიური ბიუჯეტი 150.0 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი. 11) ქვეპროგრამა: „გადაუდებელი საჭიროების " პროგრამა. წლიური ბიუჯეტი 20 000 ლარი (საპილოტე). ერთობლივი პროგრამა ა/ო იმერეთის განვითარების ცენტრის ხელშეწყობით. პროგრამა ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ მხარდაჭერას. დახმარება ერთ ოჯახზე არაუმეტეს 1000 ლარისა. 12) ქვეპროგრამა: „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საშემე მერქნით დახმარება“ - ბიუჯეტი 25 000 ლარი. 13)„ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადო ოჯახების მატერიალური ფორმით“-ბიუჯეტი -90 000 ლარი.

2. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა(ახალშობილები) 45,0 ათასი ლარი

პროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაცემას იმ პირების/ ოჯახების მიმართ რომელთაც შეეძინათ ახალშობილი. პირველ და მეორე ახალშობილზე გასაცემი თანხა 250 ლარი. ოჯახი (ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი) რეგისტრირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, გარდა დევნილისა. მე-3, მე –4 –ე და მეტი ახალშობილის ოჯახზე – 250 ლარი [HTTP://WWW.MATSNE.GOV.GE](http://www.matsne.gov.ge) 19002002035127016387 პროგრამის აღწერა ტყუპი ახალშობილის ოჯახზე გასაცემი თანხა თითოეული ახალშობილისათვის 250 ლარი. დევნილის ოჯახზე გასაცემი თანხა- 250 ლარი. ქვეპროგრამა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა“ დახმარება განისაზღვროს 200 ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქისათვის, რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განესაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/ და სასამართლოს ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი მიერ. ქვეპროგრამა „ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში /თავმესაფარში/ მყოფი პირის /ოჯახის/ თავმესაფარის

დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. გაეწევა დახმარება 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

ხარაგაულის სოციალური პროგრამები

მოსახლეობა -18,3 ათასი ადამიანი

ბიუჯეტი 17,961 მლნ. ლარი (სოც. უზრუნველყოფა 921,8 ათასი ლარი)

სულ ხორციელდება 21 პროგრამა, აქედან ბავშვიანი ოჯახებისთვის - 5 პროგრამა.

1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა 35,7 ათასი ლარი

ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 001-ს და რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი. დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთხელ თითოეულ ბავშვზე 100 ლარით.

2. მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამა 8,0 ათასი ლარი

ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი. დახმარება განისაზღვრება ყოველთვიურად 50 ლარით. ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მშობლების თანადგომა

3. მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა 8,0 ათასი ლარი

ქვეპროგრამის მოსარგებლეა 21 წლამდე ასაკის მარჩენალდაკარგული ბავშვი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით თითოეულ შესაბამის ასაკამდე ბავშვზე.

4. ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა 25,0 ათასი ლარი

პროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები. დახმარება განისაზღვრება პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში 100 ლარით, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში 150 ლარი და ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი. ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში, დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით.

ქვეპროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

5. გადაუდებელი რეაგირების პროგრამა 10,0 ათასი ლარი,

პროგრამის მიზანია კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელი პირველადი მხარდაჭერა, რომლის მეშვეობითაც ოჯახმა კრიზისი უნდა დაძლიოს მოკლე დროში.

ჭიათურის სოციალური პროგრამები

მოსახლეობა -12,3 ათასი ადამიანი

ბიუჯეტი 201 მლნ. ლარი (სოც. უზრუნველყოფა 1721,5 ათასი ლარი)

სულ ხორციელდება 19 პროგრამა, აქედან ბავშვიანი ოჯახებისთვის - 3 პროგრამა :

1.ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა 344,0 ათასი ლარი:

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:

ა) პირველი შვილის დაბადებისას - 100 ლარი.

ბ) მეორე შვილის დაბადებისას - 150 ლარი.

გ) მესამე შვილის დაბადებისას - 200 ლარი.

დ)მეოთხე შვილის დაბადებისას- 300 ლარი.

ე) მეხუთე შვილის დაბადებისას- 350 ლარი.

ვ) მეექვსე შვილის დაბადებისას- 500 ლარი.

ზ) მეშვიდე შვილის დაბადებისას -700 ლარი.

თ) მერვე და შემდგომი შვილის დაბადებისას-1000 ლარი.

ი) ტყუპების დაბადების შემთხვევაში დამატებით 500 ლარი.

2. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა - 750 ათასი ლარი:

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი). გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვს, რომელიც აგრძელებს სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში დახმარების მიცემა გაუგრძელდება 22 წლამდე.

3. შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა 150,0 ათასი ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ქიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ შემდეგ ოჯახებს, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

ა) შემოსავლის გარეშე მყოფ მარტოხელა მშობელს ან მეურვე/მზრუნველს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები);

ბ) შემოსავლის გარეშე მყოფ არასაპენსიო ასაკის მარტოხელა პირებს, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე და შვილები;

გ) შემოსავლის გარეშე მყოფ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი;

დ) შემოსავლის გარეშე მყოფ, უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ბავშვი (ბავშვები);

ამ პუნქტებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

საჩხერის სოციალური პროგრამები.

მოსახლეობა - 5.6 ათასი ადამიანი

ბიუჯეტი 31,041 მლნ. ლარი (სოც. უზრუნველყოფა 892,1 ათასი ლარი)

სულ ხორციელდება 11 სოციალური პროგრამა, აქედან ბავშვიან ოჯახებისთვის 2 პროგრამა :

1. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 300 ათასი ლარი,

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც შეეძინება მეოთხე ან/და მეხუთე შვილი (0-18 წლის ჩათვლით) მიეცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო მეექვსედა მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში (0-18 წლის ჩათვლით) 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულს (100 წელი და ზევით) მიეცემა დახმარება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. 3.აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 (ხუთასი) ლარამდე ოდენობით, ერთჯერადად გაეწევით: დედით ან მამით ობოლ, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, მრავალშვილიან ოჯახში მცხოვრებ (4 და მეტი შვილი, 20 წლის ჩათვლით), სოციალურად დაუცველ ოჯახში მცხოვრებ (რომელთაც აქვთ მინიჭებული 57000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული მშობლისდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტებს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტს –1000 ლარამდე ოდენობით. 4..საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ მძიმე საცხოვრებელ პირობებში, არ აქვთ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი და საკუთარი სახსრებით ეწევიან საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მიეცემათ დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარამდე ოდენობით. ოჯახის საცხოვრებელი მდგომარეობის შესახებ დასკვნას ადგენს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. 5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია მიეცეს დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი)

ლარამდე ოდენობით. 6. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის მონაწილეზე, რომელიც რეგისტრირებულია საჩხერის სოციალური მომსახურების სააგენტოში გაიცეს დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კორონავირუსთან -COVID 19- თან დაკავშირებით, მარტოხელა და სოციალურად შეჭირვებული ოჯახების დახმარება.

2. მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 30,0 ათასი ლარი

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დედით ან მამით ობოლ არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დანართი #2 ფოკუს ჯგუფის დისკუსიის სახელმძღვანელო

ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო - მშობლებისთვის - შშმ ბავშვის მშობელი, სოციალურად დაუცველი ბავშვის მშობელი, ბავშვზე მორგებული პროგრამების ბენეფიციარი

1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია თქვენს მუნიციპალიტეტში ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესახებ?
2. რა წყაროებით გაქვთ ეს ინფორმაცია, არსებობს შემთხვევაში და მოგვიყევით თქვენი გამოცდილება თუ გისარგებლიათ ან აპირებთ აღნიშნული პროგრამებით სარგებლობას?
3. გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება?
 - a. საიდან გაქვთ აღნიშნული ინფორმაცია
 - b. თქვენი აზრით რა ფუნქციები აქვს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას?
4. მიგიმართავთ დახმარებისთვის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებისთვის?

- a. მოგვიყევით თქვენი გამოცდილების შესახებ, როგორ მოხდა თქვენი დაკავშირება მათთან და რა კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად მიმართეთ მათ.
 - b. რა გზას მიმართეთ მათთან ურთიერთობისთვის, დასრულებულია თუ არა უკვე თქვენი ქეისი, თუ არ არის დასრულებული მოგვიყევით რა ეტაპზეა
5. მუნიციპალური დახმარებები რამდენად აგვარებს თქვენს პრობლემებს?
 - a. თქვენი კონკრეტული ქეისების გარდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში, წინა კითხვიდან გამომდინარე) გსმენიათ თუ არა სხვა შემთხვევების შესახებ და როგორ მოგვარდა მათი საკითხი
 - b. აღწერეთ ეფექტიანია თუ არა მუნიციპალიტეტი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით
 - i. დადებითი მხარე
 - ii. უარყოფითი მხარე
 - iii. გასაუმჯობესებელი მხარე
6. როგორ ფიქრობთ, მუნიციპალური პროგრამები არის თუ არა დაფუძნებული მოსახლეობის საჭიროებებზე?
 - a. თუ დიახ, აღწერეთ მაგალითი
 - b. თუ არა რატომ ფიქრობთ ასე
7. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით არსებული ერთჯერადი დახმარებები რამდენად ეფექტურია, აგვარებს ოჯახებში არსებულ პრობლემებს?
 - a. თუ დიახ, რა პრობლემების მოგვარება შეიძლება ერთჯერადი დახმარებებით
 - b. რა პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ ერთჯერადი დახმარებებით
8. გსმენიათ სოციალური მუშაკის პროფესიის შესახებ? როგორ ფიქრობთ, ვინ არის სოციალური მუშაკი?
 - a. მოყვით სოციალურ მუშაკთან ურთიერთობის თქვენი გამოცდილების შესახებ, აქცენტი გააკეთეთ ბავშვის უფლებების დაცვაზე და მათ დამოკიდებულებაზე ამ საკითხის მიმართ
 - b. რა არის გასაუმჯობესებელი სოციალური მუშაკების საქმიანობაში
9. არსებობს თუ არა საზოგადოებაში, თქვენს მუნიციპალიტეტში და ზოგადად ქვეყანაში სტიგმა შშმ ბავშვების მიმართ?
 - a. რა მაგალითებზე დაფუძნებით გაქვთ ასეთი ინფორმაცია, მოყვით კონკრეტული მაგალითები
 - b. მუნიციპალური სამსახურები და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილი არის თუ არა შშმ ბავშვებზე ზრუნვა? მოყვით კონკრეტული პროგრამების და მაგალითების შესახებ
 - c. თქვენი აზრით რა გააუმჯობესებდა სიტუაციას შშმ ბავშვები უფლებების დაცვის კუთხით

10. არსებობს თუ არა ძალადობის შემთხვევები თქვენს მუნიციპალიტეტში თქვენი აზრით?
 - a. როგორ აღწერდით რეფერირების პროცესს, აღწერეთ შემთხვევები პიროვნებების დაუსახელებლად.
 - b. ძალადობა ბავშვებზე ოჯახში, ძალადობა სკოლაში, ძალადობა საბავშვო ბაღში (ასეთის არსებობის შესახებ)
11. რა როლი აქვს ჩვენს მიერ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებაში მუნიციპალიტეტს?

ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო - სკოლის პედაგოგები,

პედაგოგები, ვისაც აქვს შეხება სსმ ბავშვებთან, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების პედაგოგები.

1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია თქვენს მუნიციპალიტეტში ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესახებ?
2. რა წყაროებით გაქვთ ეს ინფორმაცია, არსებობის შემთხვევაში და მოგვიყევით თქვენი გამოცდილება ხართ თუ არა საქმის კურსში სარგებლობენ თუ არა აღნიშნული პროგრამებით თქვენი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები?
3. გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება?
 - a. საიდან გაქვთ აღნიშნული ინფორმაცია
 - b. თქვენი აზრით რა ფუნქციები აქვს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას?
4. მიგიმართავთ დახმარებისთვის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებისთვის ან გაგიწევიათ თუ არა დახმარება მშობლებისთვის მიემართათ მათთვის ?
 - a. მოგვიყევით თქვენი გამოცდილების შესახებ, რა კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად მიმართეთ მათ ან მიმართეს თქვენი ინფორმაციის საფუძველზე ბენეფიციარებმა.
 - b. რა გზას მიმართეთ მათთან ურთიერთობისთვის, დასრულებულია თუ არა უკვე თქვენი ქეისი, თუ არ არის დასრულებული მოგვიყევით რა ეტაპზეა
5. მუნიციპალური დახმარებები რამდენად აგვარებს ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებულ პრობლემებს?
 - a. თქვენი კონკრეტული მაგალითების გარდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში, წინა კითხვიდან გამომდინარე) გსმენიათ თუ არა სხვა შემთხვევების შესახებ და როგორ მოგვარდა მათი საკითხი

- b. აღწერეთ ეფექტიანია თუ არა მუნიციპალიტეტი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით
 - i. დადებითი მხარე
 - ii. უარყოფითი მხარე
 - iii. გასაუმჯობესებელი მხარე
6. როგორ ფიქრობთ, მუნიციპალური პროგრამები არის თუ არა დაფუძნებული მოსახლეობის საჭიროებებზე?
 - a. თუ დიახ, აღწერეთ მაგალითი
 - b. თუ არა რატომ ფიქრობთ ასე
7. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით არსებული ერთჯერადი დახმარებები რამდენად ეფექტურია, აგვარებს ოჯახებში არსებულ პრობლემებს?
 - a. თუ დიახ, რა პრობლემების მოგვარება შეიძლება ერთჯერადი დახმარებებით
 - b. რა პრობლემა ვერ გვარდება ერთჯერადი დახმარებებით
8. მოგვიყევით რა იცით სოციალური მუშაკების შესახებ?
 - a. მოყვით სოციალურ მუშაკთან ურთიერთობის თქვენი გამოცდილების შესახებ, აქცენტი გააკეთეთ ბავშვის უფლებების დაცვაზე და მათ დამოკიდებულებაზე ამ საკითხის მიმართ
 - b. რა არის გასაუმჯობესებელი სოციალური მუშაკების საქმიანობაში
9. არსებობს თუ არა საზოგადოებაში, თქვენს მუნიციპალიტეტში და ზოგადად ქვეყანაში სტიგმა შშმ ბავშვების მიმართ?
 - a. რა მაგალითებზე დაფუძნებით გაქვთ ასეთი ინფორმაცია, მოყვით კონკრეტული მაგალითები
 - b. მუნიციპალური სამსახურები და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილი არის თუ არა შშმ ბავშვებზე ზრუნვა? მოყვით კონკრეტული პროგრამების და მაგალითების შესახებ
 - c. თქვენი აზრით რა გააუმჯობესებდა სიტუაციას შშმ ბავშვები უფლებების დაცვის კუთხით
10. არსებობს თუ არა ძალადობის შემთხვევები თქვენს მუნიციპალიტეტში თქვენი აზრით?
 - a. როგორ აღწერდით რეფერირების პროცესს, აღწერეთ შემთხვევები პიროვნებების დაუსახელებლად.
11. თუ გქონიათ ძალადობის შემთხვევებზე მომართვა და როგორი იყო რეაგირება თქვენი მხრიდან?